პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

კვირა, 25 მაისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 507 ქ. მ. ღ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 85.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## კომპარტიის რიგები მტკიცე და ურყევია, როგორც არასოდეს.

რუსეთის კომუნისტური პარტიის ყრილობა უკვე გაიხსნა. ჩვენს გაზეთში დღეს იბეჭდება ყრილობის საზეიმო სხდომის მოკლე ანგარიში. თუმცა საქმიანი მუშაობის ცნობები ხელთ არ გვაქვს, მაგრამ ეს პირველი ცნობებიც სავსებით საკმარისია, რომ ამ თავითვე ვილაპარაკოთ ყრილობის ბრწყინვალე შედეგებზე.

რას გვეუბნებიან ჩვენ ეს პირველი მოკლე რადიო—ცნობები?

უპირველეს ყოვლისა მას, რომ მე-13-ტე ყრილობა ჩატარდება უმაგალითო ერთსულოვნებისა, ერთობის და შემჭიდროების ნიშნის ქვეშ.

მეორე ის, რომ კომუნისტური პარტია მტკიცედ სდგას ლენინიზმის გზაზე, სრული სისწორით ატარებს გენიალური ბელადის ნაჩვენებ ხაზს და ანხორციელებს მის ანდერძებს. მხურვალე მისალმებანი, რომლითაც მიმართეს მრავალ უპარტიო მუშათა დელეგატებმა, ჩვენი კავშირის ყოველ მხრიდან, კიდევ ერთხელ ნათლად მოწმობენ მას, რომ კომუნისტური პარტიის ავტორიტეტმა არამც თუ არ დაიწია ბელადის სიკვდილის შემდეგ, არამედ ის უფრო ამაღლდა და გამტკიცდა.

მუშების უბრალო, მაგრამ მეტად მგრძნობიარე სიტყვებიდან ნათლად გამოსჭვივოდა მათი უსაზღვრო სიყვარული და ნდობა კომპარტიისადმი. რომ ჩვენი პარტია მტკიცედ სდგას ლენინიზმის საფუძვლებზე, რომ ის ღირსეულად ხელმძღვანელობს პროლეტარიატს და საბჭოთა კავშირს—ეს გარემოება დაადასტურა თავის მისალმებაში თვით მსოფლიო რევოლიუციის გენერალურ შტაბმა კომუნისტურ ინტერნაციონალმაც.

თავის ერთგულება და სიყვარული უძღვნა კომპარტიას ახალ თაობამაც.

ახალგაზრდა ლენინელები დიდის აღფრთოვანებით მიეგებენ ყრილობის დელეგატებს.

ამხ. ტროცკის მიმართვაზე, რათა ისინი გახდენ ნამდვილი, ჭეშმარიტი ლენინელები და მუდამ მზად იყვნენ ბრძოლისათვის კომუნიზმის განსახორციელებლად მას ერთხმად შეუძახეს: „ჩვენ ყოველთვის მზად ვართ"-ო.

პარტიის მე-13 ყრილობის გარშემო შემოკრბა საბჭოთა კავშირის მთელი მშრომელი მასსა დაწყებული ნორჩი ლენინელიდან და გათავებული კლასიურ ბრძოლაში გაჭაღარავებული მუშამდე.

ასეთია მოკლედ ყრილობის პირველი ცნობები, რომლებიც მხოლოდ ერთ რამეს გვეუბნებიან:

**კომპარტიის რიგები მტკიცე და ურყევია, როგორც არასოდეს.**

# რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-13-ე ყრილობა.

## ყრილობის გახსნა.

კრემლის დიდ დარბაზში ამხ. კამენევმა პირველის ნახევარ საათზე გახსნა მე-13-ტე პარტიული ყრილობა. ყრილობას დაესწრო 740 გადამწყვეტი და 402 სათათბირო ხმის უფლებით.

## ლენინიზმის დროშის ქვეშ ჩვენ გავიმარჯვებთ.

თავის მოკლე სიტყვაში ამხ. კამენევმა აღნიშნა რა პარტიის დამარცხებები და გამარჯვებები ხანგრძლივი რევოლიუციონური ბრძოლების დროს, შეჩერდა მძიმე დანაკლისზე, რომელიც წილად ხვდა საერთაშორისო და რუსეთის პროლეტარიატს ამხ. ლენინის დაკარგვით, აღნიშნა მტკიცე კავშირი და ლენინიზმისადმი ერთგულება, რომლითაც მუშათა კლასმა და პარტიამ უპასუხა ლენინის დაკარგვაზე პარტიისადმი 200,000 ახალი წევრის მიცემით და გამოსთქვა იმედი რომ ლენინიზმის დროშის ქვეშ და ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით პროლეტარიატი გაიმარჯვებს. ამხ. კამენევისაგან ლენინის სახელის ხსენებისთანავე მთელი ყრილობა ფეხზე დგება და ისე ისმენს სიტყვას. შემდეგ ხდება პრეზიდიუმის, სეკრეტარიატის და სამანდატო სარევიზიო კომისიის არჩევნები.

## ს. ს. რ. კავშირის მუშების მისალმება.

ყრილობას ესალმებიან მოსკოვის ფაბრიკების, ლენინგრადის ქარხნების—პუტილოვის და „ბოლშევიკის", სამეტალურგიო ქარხნის, ხარკოვის ორთქლმავალის მშენებელთა, სორმოვის ქარხნის, კუზნეცკის აუზის მთამადნელების და ურალისა და დონის მუშათა წარმომადგენლები. მიმსალმებელი დელეგატების უმრავლესობა არიან ლენინის პარტიის გაწვევის წევრები და უპარტიონი.

## საჩუქარი მე-13-ტე ყრილობას.

ყრილობისადმი მისაძღვნელად ჩამოტანილია საჩუქრები: ხარკოველებისაგან—ლენინის ბარელიეფი პორტრეტი—რომელიც დამზადებულია სპილენძისაგან, სორმოვიჩელებმა—ტრაქტორის მოდელი და დროშა, რომელსაც ყრილობის სახელით იღებს ამხ. რიკოვი.

## საერთაშორისო პროლეტარიატის მისალმება რ.კ.პ. მაგალითი სხვა პარტიებისათვის.

საერთაშორისო პროლეტარიატის სახელით ყრილობას ესალმება კომინტერნის წარმომადგენლები ამხ. კოლაროვი, გერმანიის კომპარტიისაგან ამხ. შვარცი, საფრანგეთის კომპარტიის—ტრიე, ინგლისის კომპარტიის—სტიუარტი, იაპონიის კატაიამა და საერთაშორისო პროლეტარულ ქალთა ორგანიზაციის სახელით ამხ. კლარა ცეტკინი.

უფრო ნათლად აღნიშნავენ ამ მისალმების შინაარსს ამხ. შვარცის ბოლო სიტყვები: „გაუმარჯოს ფოლადისებურ—შეურყეველ რუსეთის კომპარტიას—მაგალითს სხვა პარტიებისათვის." მისალმებაში აღნიშნულია რ. კ. პ. ცეკას სწორი მუშაობის ხაზი.

## კომინტერნი დარწმუნებულია რ. კ. პ. ძლევა მოსილებასა და სიმტკიცეში.

ამხ. კოლაროვი ესალმება ყრილობას კომინტერნის სახით და აღნიშნავს რ. კ. პ. ყრილობები ყოველთვის დიდ ინტერეს იწვევდენ არა მარტო ყველა ქვეყნების კომუნისტურ პარტიებ შორის არამედ მსოფლიო კაპიტალიზმის წარმომადგენლებ შორისაც.

კონტრრევოლიუციონური ბურჟუაზია ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა რ. კ. პ. ყრილობებს, როგორც ბარომეტრს, რომელსაც შესძლებოდა გარედ გამოეტანა დიდი და გიგანტიური პარტიის შინაური უთანხმოება და დაშლის ნიშნები, რომელმაც შესძლო რევოლიუციისათვის პირობების მომზადება და მისი მოხდენა თავის ქვეყანაში და შემდეგ კი ბრძოლა გადაიტანა მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ამ ჟამად საერთაშორისო ბურჟუაზია თავის იმედებს ამყარებდა ამხ. ლენინის გარდაცვალებას და ჩატარებულ დისკუსიაზე. მაგრამ ამ შემთხვევაშიც საერთაშორისო ბურჟუაზია დარჩება იმედ გაცრუებული. ჩატარებულმა დისკუსიამ არა თუ შეასუსტა პარტიის რიგების სიმტკიცე, არამედ უფრო განამტკიცა ის. მიმდინარე, ყრილობა ერთხელ კიდევ სამუდამოდ გააბათილებს კონტრრევოლიუციონური ბურჟუაზიის უკანასკნელ იმედებს—რ. კ. პ. დაშლის და დასუსტების მოლოდინში.

კომინტერნი კარგად ამჩნევს და ესმის ის სიძნელენი, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებს რ. კ. პ. და აგრეთვე ვგრძნობთ იმ საშიშროებასაც, რომელიც გარს შემორტყმია რუსეთისა და საერთაშორისო რევოლიუციას მაგრამ კომუნისტური ინტერნაციონალს და საერთაშორისო პროლეტარიატს სწამს, და ბოლომდე შეურყეველი დარჩება ეს რწმენა, რომ ძველი ბოლშევიკური გვარდია, რომელმაც შესძლო ფოლადისებური კომუნისტური პარტიის შექმნა—შეაკავშირებს—შეამტკიცებს მუშათა მასებს და ისე წაიყვანს მათ გამარჯვებისაკენ.

## მე-13-ტე ყრილობის პრეზიდიუმი.

**მე-13-ტე ყრილობის პრეზიდიუმში შევიდენ ამხ. ამხ. ანდრეევი, აიტაკოვი, ანტონოვი, ბუხარინი, ვოროშილოვი, დზერჟინსკი, დოგადოვი, ევდოკიმოვი, ზინოვიევი, ზორინი, ზელენსკი, ზალუცკი, კამენევი, კალინინი, კვირინგი, კუბიაკი, კრუპსკაია, კუიბიშევი, კიროვი, კოროსტილოვი, ლაშევიჩი, მოლოტოვი, მიქოიანი, ნიკოლაევი, ორჯონიკიძე, პეტროვსკი, რიკოვი, რუდზუტაკი, რახიმბევი, სტალინი, სოკოლნიკოვი, სმირნოვი, სმიდოვიჩი, სოლცი, ტროცკი, ტომსკი, უგლანოვი, ფრუნზე, ხარიტონოვი, ცხაკაია, ჩუბარი და შკირიატოვი.**

## ყრილობის დღის წესრიგი.

1) რ. კ. პ. კანდიტატებისადმი გადამწყვეტი ხმის უფლების მინიჭება 13 ტე ყრილობის არჩევნებზე. 2) ცეკას პოლიტიკური ანგარიში მომხსენებელი ამხ. ზინოვიევი. 3) ცეკას ორგანიზაციული ანგარიში მომხსენებელი ამხ. სტალინი. 4) სარევიზიო კომისიის ანგარიში, მომხსენებელი კურსკი. 5) ცეკას ანგარიში—კუიბიშევი. 6) რ. კ. პ. წარმომადგენლობის ანგარიში კომინტერნის აღმასკომში მომხსენებელი-ბუხარინი. 7) საშინაო ვაჭრობა და კოოპერაცია—კამენევი, კრიჟანოვსკი და ანდრეევი. 8) სოფელში მუშაობა—კალინინი და კრუპსკაია. 9) ახალგაზრდათა შორის მუშაობა—ბუხარინი. 10) პარტიულ-საორგანიზაციო საკითხები—მოლოტოვი. 11) რიაზანოვის ცნობები კარლ მარქსის ხელთნაწერების შესახებ. 12) კამენევის ცნობა ლენინის სახელობის ინსტიტუტის გახსნის შესახებ. 13) პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა არჩევნები.

## ამხ. ნოგინის ხსოვნის აღსანიშნავად.

### ამხ. რიკოვის სიტყვა.

ამხ. ნოგინისადმი მიძღვნილ სიტყვაში ამხ. რიკოვი აღნიშნავს, რომ მცირე დროის განმავლობაში პარტიამ განიცადა ორი უდიდესი დანაკლისი. გარდაიცვალა გამოჩენილი, ნიჭიერი დონის მუშა ამხ. ლუტოვინოვი და გარდაიცვალა მუშა მქსოველი ამხ. ნოგინი. გარდაცვლილთა სახით ჩვენ დავკარგეთ ლენინის გვარდიის ორი გამოჩენილი წევრები, რომლებიც მთელი ათეული წლების განმავლობაში თავდადებულად მუშაობდენ ჩვენი პარტიის ორგანიზაციულად ჩამოყალიბების საქმეში, რამაც ნიადაგი მოუმზადა დიდი ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებას.

ამხ. ნოგინს არ მიუღია სპეციალური განათლება, მაგრამ უნივერსიტეტებში, რომლებიც მეფის მთავრობამ აჩუქა რევოლიუციის—საპყრობილეებში—განმარტოებით, თავდადებული მუშაობით, მან მიიღო ისეთი განათლება, რომ თავისი გონებრივი მომზადებით ის არ ჩამოუვარდებოდა ჩვენი პარტიის წევრ ბევრ ინტელიგენტებს. ამხ. ნოგინი ყოველთვის პირველ რიგში იყო წამოყენებული, როდესაც საჭირო იყო ძლიერი მუშაობა ჩვენი პარტიისათვის საშიშარ მომენტებში, -რეაქციის პერიოდსა და მუშათა მოძრაობის დამარცხების დროს. არას დროს არ უღალატნია მას მუშაობის მეთოდებისათვის და თავგამოდებით იცავდა რევოლიუციონური მარქსიზმის დროშას.

### ლენინის გაწვევამ მე-13-ტე ყრილობაზე მიიღო გადამწყვეტი ხმის უფლება.

დღის წესრიგის პირველი მუხლის შესახებ ამხ. კამენევი აცნობს ყრილობას, ცეკას გადაწყვეტილებას ლენინის გაწვევის პარტიის წევრ კანდიდატებს მიენიჭოს 13-ტე ყრილობაზე გადამწყვეტი ხმის უფლება.

ეს წესდების დარღვევაა ფორმალურად, თუმცა ცეკა ფიქრობდა, რომ ის გამოხატავდა პარტიის სურვილებს—როდესაც ლენინის გაწვევის წევრებს—დაზგიდან მოსულ მუშებს აძლევდა ისეთ დიდ საპასუხისმგებლო უფლებას, როგორიც არის ყრილობის შემადგენლობის განსაზღვრა.

**ყრილობა ერთხმად ამტკიცებს ცეკას გადაწყვეტილებას.**

## ყრილობის პასუხი მისალმებებზე.

### გერმანიის კომპარტიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული.

გერმანიის კომპარტიისადმი საპასუხო მისალმებაში ყრილობა აღნიშნავს: ,,გერმანიის კომპარტიის ბრწყინვალე გამარჯვება არჩევნებში

...ამ გერმანიის პროლეტარიატის გული შემოკრება ჩვენი ...ავლივ. გერმანიის პროლეტარიატის ავანგარდმა თავისი მტკიცე ... გამოასწორა ძველი შეცდომები და საბოლოოდ უხვია გვერდი ოპორტიუნისტულ მიდრეკილებებს. გერმანიის კომპარტიამ საბოლოოდ ამოსწურა შინაური კრიზისები და გამოვიდა პოლიტიკური ბრძოლის ფართო ასპარეზზე.

მე-13-ტე ყრილობა სიხარულით აღნიშნავს, რომ გერმანიის ძმური პარტია სრულ სოლიდარობაში აღმოჩნდა ჩვენთან ყველა სერიოზულ პრაქტიკულ საკითხებში. გერმანიის პროლეტარიატის მისწრაფება—სავსებით დადგეს ლენინიზმის ნიადაგზე სიამაყით ავსებს ჩვენს გულს. ყრილობა დარწმუნებულია რომ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ყველა საკითხებში და კერძოდ კომინტერნის 5 კონგრესზე ჩვენი პარტია სოლიდარულად და ხელი-ხელ ჩაკიდებული იმუშავებს გერმანიის კომ-პარტიასთან.

ჩვენ უდიდესი ყურადღებით და მხურვალე სიმპატიებით ვადევნებთ თვალს თქვენს ბრძოლას, თქვენი მოვალეობის ბოლომდე შესრულებაში.

## საფრანგეთის პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილი კომპარტიის დროშის ქვეშ.

საფრანგეთის კომპარტიისადმი მისალმებაში, მისი არჩევნებში გამარჯვების გამო—ყრილობა აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით მხურვალე სალამს უძღვნის პარიზის მიდამოების რევოლიუციონურ მუშებს, რომლებმაც დაამტკიცეს რომ საფრანგეთის პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილი შემოკრბა კომუნიზმის დროშის ქვეშ. მისალმებაში ნათქვამია: საფრანგეთის სოციალისტებმა ერთხელ კიდევ დაუკავშირეს თავისი ბედი ბურჟუაზიას. ისინი წარმოადგენენ ერთ მთლიან ბურჟუაზიულ დემოკრატიას საფრანგეთში. ეჭვი არ შეგვდის, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტია ამ ახლო მომავალში შესძლებს ჩამოაცილოს სოციალისტებს დანარჩენი მშრომელებიც, რომლებიც აქამდე კიდევ ენდობიან მათ.

## ამხ. ბლაგოევის გარდაცვალების გამო.

ყრილობა თავის მწუხარებას გამოსთქვამს ბულგარეთის კომპარტიისადმი მიმართვაში ამხ. ბლაგოევის გარდაცვალების გამო. სამძიმარში ნათქვამია: ამხ. ბლაგოევი იყო არა მარტო დამაარსებელი ბულგარეთის კომპარტიის, არამედ ერთი პირველი ბელადთაგანი რევოლიუციონური მოძრაობისა ჩვენში. ს. ს. რ. კ. მუშათა კლასი ყოველთვის პატივს სცემს ამხ. ბლაგოევის ხსოვნას, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის ერთ-ერთი გამოჩენილ ბელადისას.

## უდიდესი ბელადის ნეშთისადმი თაყვანის ცემა.

ყრილობის სხდომის დათავების შემდეგ $3^1/_2$ საათ. ყრილობის დელეგატები გაემგზავრენ წითელ მოედანზე, ლენინის მავზოლეიის დასათვალიერებლად.

# ლენინის სახელობის ბავშთა კომუნისტური ჯგუფები.

წითელ მოედანზე ლენინის საფლავთან, მე-13-ტე ყრილობის დელეგატების თანადასწრებით, შესდგა ახალგაზრდა პიონერების აღლუმი და მოხდა მათგან ფიცის მიღება. ყრილობის პრეზიდიუმის წევრებმა ჩამოიარეს ახალგაზრდათა რიგები. შემდეგ ახკომკავშირის ცეკას სახელით ამხ. ვასიუტინმა გამოაცხადა ახალ გაზრდა პიონერების სახელის შეცვლა, „ლენინის სახელობის ბავშთა კომუნისტურ ჯგუფებათ“.

ამხ. ვასიუტინმა სთქვა: „ჩვენი თქვენდამი მოწოდებაა—გახდით ახალგაზრდა ლენინელებათ. მზად იყავით შეასრულოთ მისი აღთქმანი. „საპასუხოთ მთელმა მოედანმა იგრიალა „ყოველთვის მზადა ვართ“. ახალგაზრდა ლენინელებს მიესალმენ: კამენევი, ტროცკი, რიკოვი და კლარა ცეტკინი.

ამხ. ტროცკი, რომელსაც დიდი ოვაციებით შეხვდენ ამბობს: „გვახსოვდეს რომ ჩვენი საბოლოო მიზანია დამყარდეს დედამიწაზე ნამდვილი ძმური კავშირი ადამიანთა შორის. ამხანაგმა ლენინმა ჩვენ გვიანდერძა მომავალში ამ მიმართულებით ბრძოლა. თქვენ დიდი მუშაობა მოგელით. ლენინები საუკუნეებით იბადებიან. ლენინად გახდომა არავის არ ძალუძს. ლენინელად ყველას შეუძლია გახდეს. ამისათვის საჭიროა გქონდეთ პატიოსანი და ვაჟკაცური გული, რომ გააგრძელოთ ბრძოლა. ამ ბრძოლისათვის მზად იყავით“. „ყოველთვის მზად ვარ“ უპასუხებენ ათასი ხმები.

კლარა ცეტკინის მისალმების შემდეგ ფელიკონი აცხადებს ახალგაზრდა ლენინელთა საზეიმო ფიცის ტექსტს. მოედანი იმეორებს ფიცის სიტყვებს. ფიცის ტექსტი გადაეცა ყრილობის პრეზიდიუმს. ზეიმი თავდება ლენინის მავზოლეიის წინ აღლუმით.

# რადიო ყოველ მხრიდან.

### სპარსეთი.

**თავის თავი თვით გასცეს.**

აჯანყებულ ლურთა შორის აღმოჩნდენ ინგლისის გადაცმული აფიცრები.

**ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია—წყლის ნაყვაა.**

ლიტვა—ლატვიის—ესტონიის კონფერენციაზე არავითარი პოლიტიკური ხელშეკრულება არ ყოფილა დადებული, მხოლოდ იყო სურვილი გამოთქმული, რომ საგარეო პოლიტიკის საკითხებში იმოქმედონ მთლიანად და აგრეთვე დაადგინეს შექმნან შერეული კომისია სავაჭრო ხელშეკრულების გამოსამუშავებლად.

### რუმინეთი.

**ფაშისტები აწარმოებენ ებრაელების დარბევას.**

ტრანსილვანიის ფაშისტები ემზადებიან ებრაელების დასარბევად. ცემეშვარში დაარბიეს სავაჭროები. გაზეთებს აკრძალული აქვთ დარბევის შესახებ რაიმე ცნობების მოთავსება.

### ბულგარეთი.

**გადაჭარბებული კანონის დაცვა.**

სოფიაში დახურეს ორი მუშური გაზეთები „ლუჩ“ და „ზვეზდა“ სახელმწიფოს დაცვის კანონის ძალით.

**ჯამაგირების დაკლების შესახებ.**

შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა 20 პროც. შეუმცირდეს ჯამაგირები იმ მოსამსახურეებს, რომელნიც ღებულობენ თვეში 150 მანეთზე მეტს. ვინც ღებულობს 100 მან. 150 მანეთამდე—10 პროც. არავითარი პროცენტიული დაკლება არ ვრცელდება იმათზე, ვინც 100 მან. ნაკლებს ღებულობს. ეს დადგენილება ძალაში შედის 1 აპრილიდან.

**ამხანაგ ნოგინის გარდაცვალება.**

ამხ. ნოგინის გარდაცვალების გამო, საქსოვ სინდიკატის გამგეობამ მიიღო აურება სამძიმრის დეპეშები სსსრ და ამერიკის სხვა და სხვა დაწესებულებებიდან, მათ შორის ეროვნულ ბანკის პრეზიდენტისაგან.

გლოვის ნიშნათ რ. კ. პ. ც. კ. შენობაზე დროშა დახრილია.

**საერთაშორისო ბურჟუაზიის ტერორის წინააღმდეგ.**

„მოპრ“-ის ცენტრალური კომიტეტი მიმართავს მუშებს და გლეხებს პროტესტი გამოუცხადონ საერთაშორისო ბურჟუაზიას, რომელიც ტერორს მიმართავს პროლეტარიატის წინააღმდეგ.

### სამხრეთ-სლავია.

**ხორვატის პარტია შედის გლეხთა ინტერნაციონალში.**

ხორვატის გლეხთა პარტიის ბელადმა რადიჩმა განაცხადა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი მალე გადადგამს ნაბიჯს გლეხთა ინტერნაციონალში შესასვლელად.

### საფრანგეთი.

**საფრანგეთი ს.ს.ს.რ. ცნობის წინ.**

პუანკარე და პენლევეს შორის მომხდარ თათბირზე ირჩეოდა ს.ს.ს.რ. კავშირის აღდგენის საკითხი.

გაზ. „მატენი“ ფიქრობს, რომ მომავალ მთავრობის პირველი საკითხი იქნება მასკოვში თავის წარმომადგენელის გაგზავნა.

**მილიერანის თათბირი პენლევესა და ერიოსთან.**

პარიზიდან მიღებული ცნობით, მილიერანმა მიიღო ერიო, პუანკარე, პენლევე და ფინანსთა მინისტრი მარსელი. მომხდარ თათბირს მარსელმა გააცნო ფინანსიური მდგომარეობა დაწვრილებით. პენლევემ და ერიომ განაცხადეს, რომ ბიუჯეტის ბალანსიროვკის აუცილებლობა შეგნებული აქვს ყოველ გვარ მთავრობას.

საფრანგეთის გაზეთები აღნიშნავენ, მომხდარი თათბირის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მემარცხენეთა ბლოკის ორგანო „ევრ“ ადასტურებს, ერიოს გადაწყვეტილებას შეადგინოს ახალი კაბინეთი, მიუხედავად იმისა შევლენ თუ არა მასში სოციალისტები.

იმ შემთხვევაში თუ მთავრობაში მონაწილეობას არ მიიღებენ სოციალისტები ერიო შეადგენს ერთფეროვან რადიკალ-სოციალ. მთავრობას.

### ჩინეთი და ს.ს.ს.რ.

**არ არსებობს თეთრი რუსეთი.**

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აკრძალა თეთრ გვარდიელების მიერ გატაცებულ რუსეთის გემებზე სამფეროვანი ბაირაღები.

### ი ნ გ ლ ი ს ი.

**უნიადაგო ბრძოლა საიდუმლო დიპლომატიასთან.**

თემთა პალატაში მორელმა შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც მიუთითებს, რომ არავითარ დიპლომატიურ შეთანხმება უცხოელ სახელმწიფოებთან შეუძლებელია მოხდეს პარლამენტის ნება დაურთველად და მზადება საერთო სამხედრო გამოსვლებისათვის კანონიერია მხოლოდ მაშინ, როცა მას პარლამენტის დასტური ექნება. რეზოლიუციას მხარი დაუჭირეს მუშათა პარტიის თითქმის ყველა წევრმა, ლიბერალების დიდმა ნაწილმა და ორმა კონსერვატორმა. მორელი დარწმუნებულია, რომ რეზოლიუციის მიღება შეუძლებელს გახდის საიდუმლო დიპლომატიის არსებობას.

# ჩვენ ძლიერი უნდა ვიყოთ სამხედრო საქმის ცოდნით.

მუდამ უნდა გვახსოვდეს ბრძნული ანდაზა: „თუ ზავი გინდა, ემზადე ომისათვისო“.

მით უმეტეს უნდა მივაქციოთ ყურადღება ამას დღეს, როდესაც „განათლებულ“ ქვეყნების მთელი ყურადღება მიქცეულია სულ ახალ-ახალ გამოგონებებზედ სამხედრო დარგში, რომ უფრო ადვილი და იაფი გახდეს ხალხთა ჟლეტის საქმე. მთელი მიღწევანი მეცნიერებისა და ტეხნიკისა, მათ ეხლა მიმართული აქვთ მომავალი ყაჩაღური ომის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან კაპიტალისტური წყობილების ბუნება ისეთია, რომ მას მშვიდობიანი არსებობა არ შეუძლია.

განსაცვიფრებელი ცნობები გვაქვს ჩვენ ამ მხრივ ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოების ცხოვრებიდან. მაგალითად, ინგლისში გამოუგონიათ რადიოს საშუალებით მომქმედნი ყუმბარის თვითმსროლელები, რომელთაც შეუძლიათ ათასობით ამოჟლიტონ ხალხი რამოდენიმე ასი ვერსის მანძილზედ ერთი თითის დაჭერით.

ამერიკაში აღმოუჩენიათ „უხილავი სხივები“, რომელითაც შეუძლიათ გადაწვან რამოდენიმე ათასი ვერსის მანძილ; აგრეთვე იქ დიდი ყურადღება აქვს მიქცეული საჰაერო ფლოტს და საჰაერო ქიმიას, რომლის მეოხებითაც თითქმის საჭიროც აღარ იქნება დიდი ჯარის არსებობა ომის პირობებში. გერმანიაც არ უთმობს თავის მეზობლებს და იქაც გაცხარებული მუშაობა სწარმოებს, გერმანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ერთი გაზი „ლევიზიტად“ წოდებული, რომლისგანაც თავის დაფარვა არ შეიძლება არავითარი პირის ახვევით.

ყველა ეს ამბები ჩვენ გვავალებს დიდ დაფიქრებას და სერიოზულობას სამხედრო საქმისადმი. ჰაერი კვლავ დენთის სუნით იჟღინთება და ყველა ეს „მიღწევანი“ მეცნიერებაში და ტეხნიკაში ერთ წერტილში სცემენ,—მომავალი ყაჩაღური ომის გასაჩაღებლად.

ცხადია, მანამ, ასეთი მეზობლების გვერდში გვიხდება არსებობა და სახელმწიფოს სოციალისტურად შენება, არ შეგვიძლია ამას ანგარიში არ გაუწიოთ. მართალია, მუშურ გლეხურ საბჭოთა მთავრობას არა სურს ომი, ის აღმშენებლობითი მუშაობაში არის გართული და ძალიან ძვრფასია მისთვის მშვიდობიანი მუშაობა, მაგრამ თუ უკვე ძირ შერყეული, ბებერი კაპიტალისტური სამყარო ამის საშუალებას არ მოგვცემს და მოისურვებს ჩვენზე შეტევას, ჩვენ იძულებული გავხდებით გამოწვევა მივიღოთ და ღირსეული პასუხით შევხვდეთ. რამდენათ ძვირფასი არ უნდა იყოს ჩვენთვის ყოველი წუთი ჩვენი მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობის დროს, ჩვენ ნებას არავის მივცემთ მშრომელთა სისხლით მოპოებულ თავისუფლების შებღალვის. ჩვენ ვიცით, რომ ევროპის მყვლეფელთა მთავრობების რეაქციონურმა პოლიტიკამ, დიდი გამოცდილება შესძინა იქაურ მუშათა კლასს ის თუმცა არც ისე ჩქარის ნაბიჯით მაგრამ მაინც თანდათანობით აწარმოებს რევოლიუციონურ მოძრაობას დგება შრომისა და კაპიტალს შორის უკანასკნელი გადამჭრელი ომის გამართვის გზაზე.

ამიტომ ჩვენი ვალია ძალას ძალა დაუპირდაპიროთ და არა მარტო შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ ჩვენი რევოლიუციონური მონაპოვარი, არამედ დავეხმაროთ საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის განვითარებას და გაღრმავებას. ბურჟუაზიის ასეთ სამზადისს ჩვენ უნდა უპასუხოთ სამხედრო ცოდნის შესწავლაში ენერგიული წინსვლით მათ ამ საქციელს ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ გლეხი წითელი არმიის თავისი საზღვაო საჰაერო ფლოტით და სამხედრო ქიმიით.

ქიმიური მრეწველობის მეგობართა საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზედ ამხ. ტროცკიმ სთქვა: „ქიმიური მრეწველობა უნდა შეიქმნეს და ის კიდეც შეიქმნება, მაგრამ ის ჩვენ გვჭირდება არა მარტო თავდაცვის საჭიროებისათვის, ჩვენ ეს მრეწველობა უნდა გამოვიყენოთ მშვიდობიანი აღმშენებლობისათვის! დიახ, ჩვენ უნდა შევქმნათ ქიმიური მრეწველობა, ჩვენ უნდა დავეწაფოთ კიდევ მეტის ენერგიით სამხედრო ცოდნის შეძენას, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ საზღვაო და საჰაერო ფლოტი და მისი საჭიროებისათვის არ დავიშუროთ არაფერი. ეს საქმე ჩვენ უნდა შევასრულოთ ყოველ მიზეზ გარეშე. თვითეული ჩვენთაგანი ვალდებულია გაიღოს თავისი წვლილი ჩვენი სამხედრო ძლიერების საქმის განვითარებისათვის. ამით კიდევ ერთხელ ჩვენ დაუმტკიცებთ ყველას, რომ მშრომელთა დამმარცხებელი ძალა ქვეყნად არ არსებობს და მსოფლიო რევოლიუციის საბოლოო გამარჯვება ისტორიის მიერ-უზრუნველყოფილია.

**დ. ხიხაძე.**



## საჰაერო ფლოტი უნდა იქ ნეს გაძლიერებული.

მაისის რიცხვებში შესდგა უმცროს მეთაურთა მოსამზადებელის უმფრ.-პოლიტ-შემადგენლობის და წითელი კურსანტების საერთო კრება. საჰაერო ფლოტის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. დონაძემ, რომელმაც ფართოთ შეეხო საკითხს და აღნიშნა ყველა ჩვენთაგანის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების წევრად ჩაწერის აუცილებლობა. ამ საზოგადოების წევრის გადასახადი მანეთია და წ. არმიელისათვის კი 50 კაპეიკი. კრებამ ერთხმათ მიიღო მომხსენებელის წინადადება, და სურვილი გამოსთქვეს საზოგადოებაში წევრად დაუყენებლივ იქნენ ჩაწერილი, რომ თავისი წვლილით გააძლიერონ საჰაერო ფლოტი. ახლად ჩაწერილ წევრებს დაურიგდათ ნიშნები ამის. მოსაგვარებლათ იქმნა არჩეული კომისია ფული უნდა მოგროვებულიყო ჯამაგირის აღების დროს, ეს ასეც მოხდა. აღსანიშნავია, რომ ნიშნის ყიდვის მსურველები თითქმის ყველა წითელ არმიელი აღმოჩდა; თუმცა მათ ჯამაგირი ცოტა აქვთ, მაგრამ არ ჩამორჩენ საერთო საქმეს, უმფრ. შემადგენლობას კი სრულიათაც არ აუღიათ.

ეს ნიშნავს საქმისადმი გულ გრილობას ყველა უმფრ. შემად.-ბაგრეთვე პასუხისმგებელი ამხანაგები უნდა იყვნენ მაგალითის მაჩვენებელი ახალ წვეულ წითელ არმიელებისათვის. ასეთ დიდ ყურადღებით ეკცევიან წითელ არმიელები თავდაცვის საქმეს, კერძოდ კი საჰაერო ფლოტის გაძლიერებას.

დ. ჭანკვეტაძე.

## მუშათა და წითელ არმიელთა კავშირი.

18 მაისს მსუბუქ საარტილერიო დივიზიონის საკლუბო დარბაზში შესდგა საზეიმო საღამო, საფრანგეთის რევოლიუციის 135-ი წლის თავის აღსანიშნავათ. საღამოს დაესწრო აუარებელი ხალხი: იყვნენ მუშათა წარმომადგენელნი ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხნიდან, ავეჯის ქარხნიდან, მე-12-ტე მძიმე დივიზიონი, საარტილერიო სკოლა და ადგილობრივი მცხოვრებნი.

საზეიმო სხდომას ხსნის ამავე დივიზიონის სამხკომი ამხ. დემეტრაშვილი, რის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ამხ. როსნაძეს, რომელმაც მოხსენება გააკეთა საფრანგეთის რევოლიუციის და მისი მნიშვნელობის გარშემო. ამავე თემაზე, რუსულ ენაზე მოხსენება გააკეთა მე-12-ტე მძიმე საარტილერიო დივიზიონის სამხკომმა. მოხსენების შემდეგ დაიდგა წარმოდგენა. ჩატარებულ იქნა რევოლიუციონური პიესა. მოთამაშეებმა კარგათ შეასრულეს თავთავიანთი როლები. ამის შემდეგ იყო თქმული სხვა და სხვა რევოლიუციონური ლექსები. დამსწრეების მიერ. საღამო ძალიან შინაარსიანი იყო და ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

თო-რდავა.

## ჩვენს არტილერიაში.

19 მაისს შესდგა მსუბუქ საარტილერიო დივიზიონის და არტ-სკოლის პირადი შემადგენლობის საერთო კრება.

კრებას ხსნის დივიზიონის სამხკომი ამხ. დემეტრაშვილი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ბახუტაშვილი, მდივნათ ამხ. თოლორდავა. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, 2) დამხმარე ჯგუფის წევრების არჩევა, 3) კოოპერატივის ნოქრის და მეთვალყურის კომისიის არჩევა, 4) ცირკულიარ № 9 განხილვა და 5) მიმდინარე საკითხები.

მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობაზე აკეთებს ამხ. ყულუმბეგოვი. მომხსენებელმა დაგვისურათა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მდგომარეობა, მათ შორის კავშირი და ჩვენდამი დამოკიდებულება. აგრეთვე შეეხო გერმანიაში მომხდარ ამბებს, რის შემდეგაც კრების მიერ გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ყულუმეგოვის საერთაშორისო მდგომარეობაზე ჩვენ პირადი შემადგენლობა საარტ-დივიზიონის და არტ-სკოლისა, ვაცხადებთ, რომ ვიდგებით ყოველთვის, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე საერთაშორისო თავისუფლების სადარაჯოზე და რაც გინდა იყბედოს დასავლეთ ქვეყნების ბურჟუაზიამ, ჩვენ არასოდეს არ დაუშვებთ იმ წითელ დროშას, რომელიც ჩვენ ჩაგვაბარა წით. ოქტომბერმა და მზად ვიქნებით ჩვენი წვლილი შევიტანოთ საერთაშორისო სოციალიზმის დასამყარებლად.

გაუმარჯოს წითელ ოქტომბრის მონაპოვარს!

გაუმარჯოს ჩვენს საერთაშორისო კავშირს!

ამის შემდეგ არჩეულ იქნა დამხმარე ჯგუფის წევრები. კოოპერატივის ნოქრათ კრებამ ერთხმად აირჩია ამხ. კოპალიანი და მეთვალყურე კომისიაში შემდეგი ამხანაგები: როსნაძე, ანდრონიკაშვილი და ქაია.

გარჩეულ იქნა აგრეთვე ცირკულიარი № 9, რაზედაც იქნა გამოტანილი რეზოლიუცია, რომელშიაც კრება აცხადებს სურვილს კოოპერატივის წევრებათ გახდომისა. მიმდინარე საკითხებში გარჩეულ იქნა სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხები, რის შემდეგ კრება დაიხურა.

თო-რდავა.

## უვადო შვებულებაში მიმავალთ გაცილება.

22 მაისს გავაცილეთ, ჩვენი ცალკე საკავშირო ასეულიდან, უვადო შვებულებაში მიმავალი ორი რუსი ამხანაგი: ივანე ბარკოვი (ვლადიმირის გუბ.) და კონსტანტინე რასჩეპკინი (მოსკოვის გუბ).

ეს ამხანაგები მეხუთე წელია მსახურებდენ წითელ არმიაში—ბოლოს ჩვენს ასეულში გადმოვიდნენ, სადაც დაიმსახურეს ყველას პატივისცემა და პირნათლად ასრულებდენ თავის მოვალეობას.

ეს ამხანაგები იმ დროს იყვნენ შესულნი წითელ არმიაში, როდესაც საბჭოთა რუსეთს ყოველ მხრით უტევდენ კონტრ-რევოლიუციონური თეთრგვარდიელები, რომელთაც ზურგზე ბოლი აადინა წითელმა ლაშქარმა და ჩვენი ამხანაგებიც მრავალ გამარჯვების მონაწილენი იყვნენ.

გაცილება იყო გულ მხურვალე. ისე შეეჩვიენ ჩვენ ყაზარმას და წითელ არმიელებს, რომ გამომშვიდობებისას ცრემლიც კი მოადგათ თვალზე. ამ ამხანაგებს მიეცათ საჩუქრები და ლიტერატურა რუსულ ენაზე.

მათ შეფიცეს, რომ არადროს არ დაგვივიწყებენ, ყველას გადასცემენ ქართველ ამხანაგებთან ასე ძმურად გატარებულ სამსახურს, მუდამ კარგს მოპყრობას და მოიწერებიან წერილებს ხშირად.

— ჩვენ მივდივართ, მაგრამ თქვენ არასდროს არ დაგვავიწყდებით ჩვენო ძვირფასო ამხანაგებო. ეს იყო მათი უკანასკნელი სიტყვა.

ს.

## ქართული წიგნების სიმცირეა.

ჩვენი ლეგიონის ბიბლიოთეკას გამგის მუყაითობით და დაუღალავი ენერგიით, თან და თან გაუმჯობესება ეტყობა. წინათ ბიბლიოთეკას ქონდა ერთი დარბაზი, სადაც მოთავსებული იყო მთელი ბიბლიოთეკა და ძალიან სივიწროვეს განვიცდიდით, მაგრამ შემდეგ ბიბლიოთეკას მიეცა მეორე დიდი დარბაზი, სადაც მოთავსებულია საწყობი (წიგნების და ჟურნალ გაზეთების) და აქვე სწარმოებს კანც. მუშაობა. პირველ დარბაზში მოთავსებულია სამკითხველო. ბიბლიოთეკაში გამოფენილია რამოდენიმე ცალი წიგნი და მათი გაცემა სწარმოებს დილის 7-დან საღამოს 4 საათამდის. უნდა აღინიშნოს რომ ჩვენი ლეგიონის ბიბლიოთეკა განიცდის სიმშილს ქართული წიგნებისას. მთელს ჩვენს ბიბლიოთეკაში არ მოიპოება ერთი მეოთხედი ქართული წიგნებისა; რაც რა თქმა უნდა არ არის სასურველი. შეიძლება ზოგიერთ უფ-პოლიტ-შემადგენლობა დაკმაყოფილდეს რუსული წიგნებით, მაგრამ წითელ არმიელი, რომელიც წითელ ყაზარმაში იძენს წერა-კითხვას, მათ რა უყოთ? როგორ მოვექცეთ? ფაქტია ის, რომ დღეს ტეხნიკუმის კურს დამთავრების დიპლომით ხელში მყოფთ არ აქვთ შეძლება რომ რუსული წიგნები თავისუფლად იკითხოს—იქედან ცოდნა შეიძინოს და იმ წითელ არმიელს, რომელმაც ძლივს და კითხულობს ქართულს, შეიძლება რუსული ასოები ამოიკითხოს, რუსული წიგნებით ვერავითარ დახმარებას გაუწევთ მათ. ამ მხრივ პოლიტ-განყოფილებამ დაუღალავათ უნდა იზრუნოს, რათა ის სიმშილი რომელიც დღეს-დღეობით სუფევს, იქნეს ცოტა ოდნათ მაინც შენელებული.

ასეთია მდგომარეობა ჩვენი ბიბლიოთეკის, როგორც წიგნების ისე გაზეთების მხრივ. რაც შეეხება ბიბლიოთეკის ტეხნიკურ მხარეს, როგორც ავღნიშნეთ, ამ მხრივ ბიბლ. გამგეს ამხ. გ. ენდელაძეს მართლაც რომ სათანადოთ აქვს ყველაფერი მოწყობილი, პლაკატებით, ლოზუნგებით და სხვა და სხვა მოღვაწეთა სურათებით სავსეა ბიბლიოთეკის კედლები, ჩემის აზრით საჭიროა ქართველ მწერლების სურათებიც. დისციპლინა და სისუფთავე ძალზედ არის დაცული. სამკითხველოს დარბაზის ერთ ნაწილში მოთავსებულია ლენინის კუთხე, სადაც გამოფენილია ლენინის ნაწარმოებები.

სამხკორი: ს. ყუბანეიშვილი.

## გაზეთებს თავის დროზე ვერ ვღებულობთ.

მე მსურს მკითხველის და მით უფრო იმათი ვისაც ეს ეხება ყურადღება მივაქციო იმ მოვლენისადმი, რომელიც თხოულობს, დაუყონებლივ გამოსწორებას.

დემობილიზაციამდის ჟურნალ-გაზეთს ყოველ მეორ—მეორე დღეს ვღებულობდით წინა დღის ნომერს, ხოლო დემობილიზაციის შემდეგ გაზ. „წითელ-არმიელს“ დღევანდელ ნომერს მესამე დღეს ვღებულობთ და ნომრების დაკარგვამაც მასიური ხასიათი მიიღო. ასე, რომ გვიხდება ჯერ დაგვიანების გამო და შემდეგ ნომრების დაკარგვის გამო, მთელი კვირაობით უგაზეთოდ ყოფნა. ამ გარემოებას საჭირო არის ამ თავითვე მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს; არ კმარა ტფილისში მყოფი სამხ. ნაწილები, რომ მარტო იქნეს დაკმაყოფილებული, არამედ საჭირო არის პროვინციაში მყოფ მესამე ლეგიონსაც მიექცეს გაზეთების დროზე მიწოდების მხრივ ყურადღება.

ჩვენზე უფრო კარგათ ამ მხრივ რუსების ნაწილებს აქვთ დაყენებული საქმე. მათი ორგანო გაზ. „კრ. ვ.“ სისტემატიურათ და თავის დროზედ მოდის და ჩვენც თავის დროზედ ვიღებთ...

ჩვენ ვფიქრობთ მომავალში ეს ნაკლი გამოსწორებული იქნება.

ს. ყ—ლი.

## პატარა ფელეტონი

### ს პ ე ც ო ბ ა.

სიტყვა სპეციალისტი წარსულში ნაკლებად იყო პატივცემული. სპეციალისტს სინანულით უყურებდენ, როგორც ისეთს ადამიანს, რომელსაც თავის საკუთარ ცხვირ-გარეშე არაფერზედ წარმოდგენა არა ჰქონდა.

ამ ჟამად სულ სხვაა.

სპეცი ეხლა პატივსაცემი კაცია, სანთლით საძებნი, სასურველი.

სპეცობა სარფიანია. სპეცობა—სანატრელია.

სპეცობა—იდეალია.

სპეცობა—ლურჯი ფრინველია, გაზაფხულზედ გაშლილი ვარდი და ზაფხულში ბუზებისათვის თაფლია.

ვინ არ ეტრფის მას! ვინ არ ელტვის მას! ვინ არ ატანს ძალას ქვეყნიერობას დაუმტკიცოს, რომ იგი სპეცია: სპეცობს უნიჭო მხატვარი, გადარეული პოეტი, ენა-ჩლუნგი აბლაკატი, სპეცობს გადამწერი, ნოქარი, ბაყალი, ზეინკალი, ტიპოგრაფი, ფოტოგრაფი, მექუდე, მემწვანილე... და სპეცობს არა თავის საკუთარ დარგში, არა! თქვენ არ მომიკვდეთ! იგი სხვა დარგს ეპოტინება: პოეტი—მხატვრობას, მხატვარი—აბლაკატობს, აბლაკატი ორივეს, პოეტობასაც და მხატვრობასაც, ნოქარი — ტიპოგრაფობს, ზეინკალი—ფოტოგრაფობს და სხ.

მაშ სპეცი, რა სპეცი უნდა იყვეს, რომ დაკისრებული საქმისა რაიმე გაეგებოდეს!

მიზეზი ყველა ამისა, გახლავსთ: სპეც-ჯამაგირი, სპეც-სადილი, სპეც-ვახშამი, სპეც-ავტომობილი, სპეც-აგარაკი, სპეც-ბინა, სპეც-ტანისამოსი და ათასგვარი სხვა რამ სპეცი.

თითონ სპეცს განსაკუთრებული სპეც-ცხვირი აქვს, სპეც-სიარული, სპეც-უშველებელი პორტფელი და დაბოლოს სპეც განსაკუთრებული მადა ფულებისა, ფუფუნებისა, კეთილ-ცხოვრებისა და გარეგნულ სათნოებისა.

მიუხედავათ იმისა, რომ სპეცი საერთოთ გაბედულია, იგი ზოგიერთ შემთხვევაში დიდათ მხდალია კურდღელისავით.

სპეცს ეშინია თავის მოძმე კურდღელივით, გამომცდელ კომისიის ფაჩი-ფუჩისა.

ამ შემთხვევაში სპეცი გადაყრის ყურებს უკან და პირველ შეხვედრილ ხვრელში ლამობს იძვრინოს თავი. ზოგი ახერხებს თავის დაძვრენას, ზოგს კუდი რჩება ხვრელ გარეშე, საიდანაც კომისიას ამ ზედმეტ ასოთი მზეზედ ამოჰყავს გასაშუქებლად. ზოგი აქამდისინ თავის თავს საუცხოვოთ ჰგრძნობს და იმყოფება განცხრომაში, ულვაშებში ეღიმება და ჰღიღინებს:

„ვინც რა უნდა, სთქვასო, წისქვილმა კი ჰფქვასო!“

გოჩმანი.

## მასწავლებელი და მის მომავალ მუშაობაზე ახალ წვეულთა შორის.

დღეს საბჭოთა ტერიტორიაზე გაფაციცებული მზადებაა ახალ წვეულების გამოსაწვევათ და მათი ნაწილებში დასარიგებლათ. ჩვენი წითელი ყაზარმები შესაფერი მზადებით დახვდება თავის პირმშო შვილებს მუშებს და გლეხებს. ყაზარმამ მათ უნდა მიაწოდოს ყოველმხრივი სწავლა, რისთვისაც საჭიროა მისი ნამდვილ სკოლათ გარდაქცევა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. წითელ-არმიელების მსოფლ მხედველობის ჰორიზონტი რაც შეიძლება უნდა გავაფართოვოთ. როგორი უნდა იქნეს სკოლის როლი-მასწავლებლის როლი ამ დარგში? თითქმის არც ერთ დარგს ნაწილებში, არ აქვს იმდენი გასაქანი, რამდენიც მასწავლებელს ნაწილში, მასწავლებლის მუშაობა არ უნდა ამოიწურებოდეს მხოლოთ წერა-კითხვის სწავლებით. მან თავისი წვლილი უნდა შეიტანოს, აქტიურადაც იმუშაოს ყველა სხვა დარგებში. ის არც პოლიტიკის გარეთ უნდა დარჩეს. ჩვენ ვიცით, რომ წინათ არსებული მთავრობები: მონარქიული, ბურჟუაზიული და ასეთებიც ეხლა სხვა სახელმწიფოებში, სკოლას იყენებენ სააგიტაციო იარაღათ. მით უმეტეს დღეს ჩვენი სკოლა და მასწავლებლობა, არ შეიძლება ამ საკითხის გარეთ იდგეს. ის უნდა იქნეს საუკეთესო აგიტატორი ჩვენ ახალ წვეულებს შორის. მასწავლებელს, თუ კი თავი, თავის სიმაღლეზე ყავს, წითელ-არმიელები მასში ხედავენ უფროსს ამხანაგს, დამრიგებელს, და ყოველივე მისს ახსნა განმარტებას უფრო მეტი ყურადღებით ისმენინ. მან თუმცა ელემენტარული მაგრამ ენციკლოპედიური ცოდნა უნდა მისცეს წითელ-არმიელებს, განსაკუთრებით მას საუკეთესო დრო აქვს ახლა, ბანაკში გასვლით, როდესაც დღე და ღამ წითელ-არმიელებთან ერთად იქნება. მასწავლებლის ხელში აუარებელი მასალები; ტყე, მდინარეები, მჟავე

წყლები, მთები და მინდორ ველი სხვა და სხვა ნიადაგით, რომლებიც გამოიყენება საუკეთესო პრაქტიკულ მასალათ.

ჩვენი წითელ-არმიელები, უმეტესად, სოფლებიდგანაა, რომლებიც ორგანიულათ დაკავშირებულია ამათთან. ბევრი იმათგანი, შეიძლება ხშირათ დაინტერესებულა ბუნების საიდუმლოებით მაგრამ ვინ აუხსნიდა მათ? ზოგი იმათგანი ჯერ კიდევ იმყოფებიან სოფლის ცრუმორწმუნოების ბურუსში და, კიდევ მეტი რელიგიურ გავლენის ქვეშ. ამისათვის საჭიროა ბუნების მეტყველების შესწავლა ან-ბანის სწავლებასთან პარალელურათ მიმდინარეობდეს. და მრავალი ასეთი საკითხები, რომლებიც ღრმად ჩაწვდენილ და გაშუქებულ უნდა იქნეს წ.-არ. აუდიტორიის წინაშე. თუ ასე ინტენსიურ მუშაობას ვაწარმოებთ მასწავლებლები, სოფლად დაბრუნებისას, გვეყოლება საუკეთესო მომზადებული პირები.

ზ. ძაგნიძე.

## დეზერტირის განცხადება.

მე ვარ წითელი არმიელი 1 ქართულ მსროლელ ლეგიონიდან. ამ წლის იანვარში მე გავიპარე ნაწილიდან. მე ეს ჩავიდინე ჩემი შეუგნებლობით.

ეხლა ვგრძნობ ჩემს დანაშაულს და **ბოდიშს ვიხდი** საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. ფიცსა ვსდებ, რომ ამიერიდან არ ვუღალატებ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და შევიქმნები სამაგალითო წითელი არმიელი.

ძირს დეზერტირობა!

გაუმარჯოს საქართველოს წითელ-ლაშქარს!

ყოფილი დეზერტირი:

ვ. სიდამონიძე.

## ქართ. დივ. სამხედ. რევტრიბუნალში.

**საყარაულო წესდების დარღვევა.**

მიმდინარე წლის 25 მარტს მესამე ლეგიონის წითელ არმიელი ილია ალადაშვილი დანიშნულ იქნა გუშაგათ ასეულის საკუჭნაოსთან. ღამის 1-ლ საათზედ, გუშაგათ დამდგარ ალადაშვილს მორგებული გასაღებით გაუღია საკუჭნაოს კარები, აუნთია შიგ სანთელი და გამოუტანია ორი პარკი შაქარი და სხვა წვრილმანი ნივთები. სინათლე შეუნიშნავს ალაყაფის კარებთან მდგომ მეორე გუშაგს და ბრალდებული ალადაშვილი დაუპატიმრებია.

**ვინ არის ალადაშვილი.**

ილია ზაქარიასძე ალადაშვილი ღარიბი გლეხკაცის შვილია, სიღნაღის მაზრიდან, სოფელი ჯუგაანი. ჯარში მსახურობდა თერთმეტი თვე და არავითარ ცუდ მოქმედებაში ჯერ არ ყოფილა შემჩნეული.

**საქმის გარჩევა.**

აღნიშნული საქმე რევტრიბუნალმა გაარჩია ა/წ. 17 მაისს. ბრალი 214 მ. მესამე ნაწილის და 187 მუხლის ძალით, ე. ი. სამხედრო საყარაულო წესდების დარღვევაში იმ საქმის ღალატში, რომლის დასაცავადაც თითონ იყო დანიშნული.

ბრალდება ტრიბუნალმა დამტკიცებულათ სცნო და დაადგინა მიესაჯოს ბრალდებულ ალადაშვილს გამასწორებელ სახლში მოთავსება სამი წლის ვადით სასტიკი იზოლიაციით და წინასწარ დაპატიმრების დროს ჩათვლით. მაგრამ ტრიბუნალმა მიიღო მხედველობაში ბრალდებულის განუვითარებლობა და სასჯელი შეუმცირა ერთი წლით გამასწორებელ სახლში მოთავსებით სასტიკ იზოლიაციაში.

**დანიშნული საქმეები.**

— **სამჯერ ნადეზერტირალი.** 28 მაისს რევტრიბუნალი გაარჩევს მეორე ლეგიონის წითელ არმ. აკაკი ნანაძის საქმეს. ბრალდება სამჯერ დეზერტირობა და სახ. ქონების გაფლანგვა.

## ახალი ამბები.

— **გლეხთა სახლი ახალციხეში.** ახალციხეში დაარსდა გლეხთა სახლი. ქალაქში ჩამოსულ გლეხებს ეს სახლი ბინის გარდა მისცემთ საშუალებას გაიგონ ბაზარზე არსებული ფასები და ასცდენ ჩარჩ-ვაჭრების გაყვლეფას.

— **გორის აღსადგენად.** 25 მაისს იპოდრომზე გაიმართება დიდი მარულა—ჯირითი, შინაგან საქმეთა კომისარიატის ადგილკომის თაოსნობით მთელი შემოსავალი მოხმარდება გორის აღდგენის საქმეს.

— **იუსტიციის კომისარიატების თათბირი.** ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა მოკლე ხანში მოიწვიოს ამიერ-კავკასიის იუსტიციის კომ.სარიატების თათბირი.

— **ჰაეროდრომის მოწყობა ბათომში.** აჭარისტანის სახკომსაბჭომ დააარსა ცალკე კომისია, რომელსაც მიენდო ბათომში ჰაეროდრომის მოწყობის საქმე.

— **სასოფლო მეურნეობა.** წარმოკავშირმა გაგზავნა კომისია ბორჩალოს მაზრაში, რომელიც აირჩევს იქ ადგილს სანერგეს მოსაწყობათ.

— **ლენინის სახელობის ბაღი.** ამხ. ლენინის სახელობის ბაღის (ლენინის ქუჩაზე) მოწყობა უკვე დამთავრდა და იქ უახლოეს ხანში გახსნიან ლენინის ძეგლს.

— **ტყის მოშენება.** მამადავითის მთაზე უკვე ამოვიდა დათესილი ხეები და გამოიღო თვალსაჩინო ყლორტები.

— **აჭარისტანის აგარაკებზე.** აჭარისტანის აგარაკებზე საავარაკო გადასახადი განსაზღვრულია კერძო მოქალაქეთათვის თითო მანეთი, ხოლო პროფკავშირის წევრთათვის 20 კაპ.

— **ტრამვაის გაყვანა ნაძალადევში.** ნაძალადევში გაყვანილ ტრამვაის ხაზი კიდევ გაგრძელებულ იქნა 130 საჟენით.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 23 მაისს შრ. ბირჟაზე გამოცხადდა 133 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 71. სამუშაოზე გაიგზავნა 126.

— **გამოცდები ტეხნიკუმებში.** ორ ივნისს დაიწყება გამოცდები ტეხნიკუმების გათავების სრული კურსის დასრულების მოწმობების მასალებათ.

— ქალთა **ტანსავარჯიშო წრეები.** უმაღლეს ფიზკულტურის საბჭოს დადგენილებით ტანსავარჯიშო წრეებთან მოეწყოა ქალთა სავარჯიშო წრეებიც.

## ხელოვნება.

— **პროლეტარული სალამო.** დღეს სახ. ოპერის თეატრში საქართველოს პროლეტ. მწერალთა კავშირის და პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობის ხელმძღვანელობით გაიმართება დიდი ინტერნაციონალური სალამო.

— **ჯორჯიაშვილის ძეგლი.** მოქანდაკე ი. ნიკოლაძემ დაამთავრა ჯორჯიაშვილის ძეგლი, რომლის გახსნაც მოკლე ხანში მოხდება.

— **აკაკის ნაწერები.** სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგა აკაკი წერეთლის ნაწერების ბეჭვდას სამ ტომათ.

## ღმერთის წარმოშობა.

(დასასრული).

ეს კიდევ მაშინ, როდესაც ადამიანი საზოგადოებრივად სუსტია მეტად.

ეკონომიურ ორგანიზაციას მოკლებული კაცობრიობის ისტორია წინ მიდის, ძლიერდება ეკონომიურად.

ხდება კლასობრივი დანაწილება საზოგადოებისა. ადამიანის აზროვნების საუნჯე მდიდრდება. თუ ადრე ყოველ ბუნებრივ მოვლენას ადამიანი უჩენდა თავის ღმერთს, და ღმერთიც იმდენი იყო, რამდენიც ბუნებრივი მოვლენა, ეხლა ის უკვე ამოკლებს ღმერთთა რიცხვს.

რადგან ზოგიერთ ბუნებრივ მოვლენებს ის უკვე ხსნის. აქედან, მიდრეკილება ადამიანის ერთ-ღმერთობისაკენ, მონისტურ რელიგიისაკენ, შეიქმნა უფრო „კულტურული“ რელიგიები. ქრისტიანიზმი, მაჰმადის რჯული, ბუდა და მათი ნაშთები.

ეს უკვე ის დროა როდესაც საზოგადოება გარკვეულად კლასობრივია. და გაბატონებულ კლასს ესაჭიროება იარაღი დაჩაგრულ კლასის ასალაგმავად. აქ მან მოიხმარა რელიგია. რელიგია ადამიანის აზროვნების ისტორიდან, გადაიქცა უკვე დოგმატიურ მოვლენად, გაიყინა და საბოლოოდ გარდიქმნა ხალხის და მონების იარაღად. რელიგიურ გულუბრყვილობასთან ერთად ადამიანში დაიბადა სკეპტიციზმი. ადამიანი უკვე იჭვის თვალით უყურებს წინაპართა ნააზრევს. დაიწყეს ფაქტიურ მასალის შესწავლა წარმოიშვა მათემატიკა, ასტრონომია ფილოსოფია, განვითარდა მრავალი მეცნიერების ეკონომიურ ცხოვრებაში ხდება უდიდესი აღმოჩენანი, კაცობრიობამ დააგროვა დოვლათი.

ადამიანის სული და გონება აუჯანყდა რელიგიას, ევროპაში ქრისტიანიზმს. ხდება რევოლიუციები არა პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ აზროვნებაშიც. გაიმართა სასტიკი ბრძოლა რელიგიის—ქრისტიანობის და მეცნიერების შორის. ისტორიულად მან მიიღო გარკვეული ხასიათი. ქრისტიანიზმთან ერთად ებრძვის არისტოკრატია ფეოდალიზმს, გაბატონებული კლასი მეცნიერებასთან ერთად ხალხი—მესამე წოდება. პროლეტარიატი ჯერ არ სჩანს საზოგადოებრივ არენაზე.

მესამე წოდებამ—ბურჟუაზიამ დაამარცხა ფეოდალიზმი. მაგრამ ბურჟუაზიისათვის აღმოჩნდა ახალი მტერი, პროლეტარიატი. ბურჟუაზიამ შეინარჩუნა რელიგია, რომელსაც თვითონ ებრძოდა გუშინ და მომართა იგი, როგორც უბრალო იარაღი ხალხის წინააღმდეგ. რადგან ხან და ხან იქ სადაც ხმალი ვერ სჭრის რელიგია საუკეთესო მახვილია.

ბურჟუაზია განვითარდა, გაიზარდა მომწიფდა. და როგორც ყოველი ეხლა კვდება. მისი მზე საბოლოოდ ჩაესვენა რუსეთში. გადიხარა ევროპ. პროლეტ. უკანასკნელ ბრძოლას უმართავს მას და მის მსახურს რელიგიას.

პროლეტარიატმა შეგნებულად უარყო რელიგია, როგორც ასეთი და აგრეთვე როგორც ბრძოლის იარაღი.

მოკვდა ღმერთი!

გაუმარჯოს მეცნიერებას!

გონგ.

## სასოფლო მეურნეობა.

**ხეხილის ფუძეს გაწმენდა.**

ხეხილის ფუძეს ხშირათ ამოდის ხავსი და სხვა მცენარეები რომლებიც იწოვენ ხის ფუძის სისველეს. სისველე შედის დახეთქილ ქერქში და იწვევს სიდამპლეს მერქნის და ქერქის. ასევე ვნებს ხეს სოკო ამედი. ისართმევს მცენარეს მის მიერ დამზადებულ საზრდოს რის გამო ხე ბერდება ანუ ხმება. დახეთქილი ქერქი ხელს უწყობს ხეხილის მავნებელ მწერების დაბუდებას და გამრავლებას. ხეხილის ხის ჯანსაღობისათვის საჭიროა მისი ფუძეს გასუფთავება. ამისათვის არსებობს დანის მსგავსი იარაღი. იარაღი უნდა დაუსვათ ხის ფუძეს და მავნე მცენარე მალე ცილდება. ეს უნდა გაკეთდეს ნესტიანი ანუ ნაწვიმარ დღეს, ვინაიდან ხავსი ადვილათ ცილდება ხის ფუძეს. ამ საშუალების გარდა შეგვიძლია ხეს ფუძეს უწამლოთ. წამალი უნდა მოვამზადოთ შემდეგი წესით: უნდა ავიღოთ ერთი ვედრო წყალი და კარგათ აურიოთ შიგ 10—15 გირვანქა ხის ნაცარი, შემდეგ ასეთს სითხეს უნდა მიუმატოთ ნახევარი გირვანქა კარბოლის სიმჟავე. ასეთი სითხე უნდა წაუსვათ ჩოთქებით მაგრათ ხის ფუძეს. ხის ფუძის გასაწმენდათ საუკეთესო დროთ ითვლება შემოდგომა და გაზაფხული. როდესაც ხის ფუძე გაწმენდილია ის უნდა შევათეთროთ კირის ხსნილით, რომელსაც ეწოდება აგრეთვე კირის რძე. ამის მოსამზადებლათ საჭიროა ავიღოთ დაუშრეტელი კირი და გავხსნათ წყალში სანამ არ მივიღებთ ოდნავ მოსქო სითხეს. ასეთი სითხე უნდა წაუსვათ როგორც ხის ფუძეს ისე ხის ტოტებს.

უმჯობესია ასეთი წესით მომზადებული კირის რძე შევასხუროთ მთელს ხეხილის მცენარეს. ხეხილის ფუძის შეთეთრება უმჯობესია მოხდეს შემოდგომაზე ანუ ადრე გაზაფხულზე. ასეთი წესით გაწმენდილ ფუძეს მალე ემჩნევა გამოჯანსაღება. როგორც ხის ფუძე ისე ტოტები მსხვილდებიან. მთელი ხე იღებს ცოცხალ სახეს. ნაყოფი კარგათ იწყებს ზრდას და უფრო მეტ მოსავალის მოცემას.

ში.

## მედიცინა და ჰიგიენა

**ახალი საშვალება ტუბერკულიოზის წინააღმდეგ.**

თუ ერთის მხრივ ზღაპრულ შედეგებს აღწევს თანამედროვე კაცობრიობა ტეხნიკის დარგში და იქმნება ათასგვარი უცნაურობანი, მეორეს მხრივ ასეთივე დიდ და მეტად საყურადღებო შედეგების მოწამე ვხდებით სხვა დარგშიც. ჭლექი კაცობრიობის ეს საშინელი სენი უბედური მოვლენაა ადამიანს თავზე და მისგან სრულიად განკურნება თითქმის შეუძლებელი იყო. ბევრი გამოჩენილი მეცნიერი ცდილა ამ საშინელი სენის წინააღმდეგ აღმოეჩინათ რაიმე პრეპარატი, მაგრამ ყოველ გვარი ცდა უნაყოფო იყო ამ მიმართულებით. ვერ იქნა და ვერ გამოინახა. აქამდე მისი საწინააღმდეგო საშვალება. ერთად ერთი საშუალება იყო, თავის კარგი მოვლა, სუფთა ჰაერი და მზის სხივები. ამას წინად ჩვენ მოთავსებული გვქონდა ცნობა, რომ ერთმა იტალიელმა პროფესორმა აღმოაჩინა ჭლექის საწინააღმდეგო საშვალება· იტალიელი პროფესორის ეს პრეპარატი პირდაპირ მისაღები, დასალევი ფხვნილი იყო. ეხლა კიდევ უფრო ხელსაყრელი საშვალება აღმოუჩენიათ, როგორც ამის შესახებ იტყობინებიან საზღვარ გარეთის ჟურნალ გაზეთები. ახალი აღმოჩენა ეკუთვნის კოპენგაგენის (დანია) პროფესორ ხოლგერ მელგორს. ხოლგერის პრეპარატს ეწოდება „აუროციტინი“ და პირდაპირ კანს ქვეშ შეიძლება მისი შეშხაპუნება. პრეპარატი ქიმიურად წარმომდგარია ოქროს მარილებისაგან. როგორც იტყობინებიან პრეპარატი განსაცვიფრებელ შედეგებს იძლევა თურმე. ამნაირად თუ ეს მართალია და ასეთი შედეგები მოაქვს აღნიშნულ წამალს უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანის ამ მოუცილებელ სენს ჭლექს, სამუდამოთ დაესმება ჯვარი.

**ამუნდსენის გაფრენის შესახებ ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ.**

ამუნდსენის ექსპედიციის ერთი მონაწილე იტყობინება, რომ რადგანაც არც ერთ აეროპლანს არ ძალუძს თან წაიღოს საკმაო ბენზინის მარაგი შპიცბერგენზე გადასაფრენად, ამიტომ ამ გზაზე ბენზინის ტრანსპორტის საქმეს ემსახურება ორი ჰაეროპლანი, რომელთაგან თითეული წაიღებს თექსვმეტ საათის განმავლობაში სამყოფ ბენზინს. პირველი მათგან 4 საათის შემდეგ გადასცემს თავის დარჩენილ ბენზინს მეორეს და თვითონ კი დაბრუნდება უკან. 8 საათის შემდეგ მეორე დამხმარე ჰაეროპლანიც გადასცემს თავის ბენზინს მთავარ ჰაეროპლანს, რომელიც გაემართება პოლიუსისაკენ და თვითონ კი დარჩება კუნძულ ალიასკაზე. ამუნდსენი ერთი თავგანწირული და დაინტერესებული მოგზაურია ჩრდილოეთის ქვეყნების. მან ბევრჯელ სცადა მიეღწია ჩრდილოეთის პოლიუსისათვის მაგრამ ვერ ხერხდებოდა. ეხლა კი ამუნდსენი ჰაეროპლანებით გაემართა თავისი დასახული მიზნის მისაღწევად. ალბათ ჩქარა გავიგებთ იმასაც მიაღწევს თუ არა ამუნდსენი პოლიუსს.

შეიხ.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.